ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3350076

ნომერი: AR1509863

თარიღი : 31.05.2017

გაცემის თარიღი : 26.06.2017

გაცნობის თარიღი : 07.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი II , კორპუსი 11ა , მიმდებარედ, ნაკვ.03/057 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ესებუა პ/ნ 01009007908
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 34 ბ. 30

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 22 მაისის №1264294 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 31 მაისს AR1509863 განცხადებით მომართა რამაზ ესებუამ და ზაქარია ზირაქიშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 22 მაისის #1264294 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ვინაიდან მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების, კონფიგურაციის ცვლილება ფართობის და საკადასტრო კოდის უცვლელად.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 22 მაისის №1264294 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, II მიკრო/რაიონი, კორპუსი #11ა-ს მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე, (საკადასტრო კოდი: #01.19.20.003.057; ფართობი: 569კვ.მ.), მრავალფუნქციური შენობის (საოფისე, კომერციული, საცხოვრებელი) განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. დოკუმენტაციის გადახედვისას დადგინდა, რომ მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირება და კონფიგურაციის ცვლილება. აქედან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 22 მაისის №1264294 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ძველი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა შეიცვალოს ახალი საკადასტრო გეგმით და ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882016680382, მომზადების თარიღი: 29.12.2016წ; საკადასტრო კოდით:#01.19.20.003.057 569 კვ.მ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 22 მაისის №1264294 გადაწყვეტილებასთან ერთად.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.